

# ცხენისა და ვირის ხორცის საქონლის ხორცის სახით რეაღიზაციის ფაქტზე ორი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო

მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხიდა.

*„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრადღებულები, სხვადასხვა რეგიონში დაბადე ფასში იძენდნენ ცხენისა და ვირის ტანხორცს, რომლის ტრანსპორტირებაც ხდებოდა ე. თბილისში მდებარე ერთ-ერთ ობიექტზე კუსტარული წესით მოწყობილ ე. წ. ბოინში, სადაც ყოველგვარი რეგისტრაციისა და სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე, ახდენდნენ ცხენისა და ვირის ხორცის დარბილება-დამუშავებას და მის შემდგომ რეაღიზაციას ბაზრობებზე და სხვადასხვა კვების ობიექტებზე საქონლის ხორცის სახით“, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.*

უწყების ცნობით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბაზრობაზე, ასევე რამდენიმე ობიექტზე ამოღებულია დიდი ოდენობით ხორცი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შეიცავს ცხენის და ვირის ღნმ-ს. ასევე ე.წ. ბოინში აღმოჩენილი იქნა ცხენისა და ვირის სხეულის ნაწილებიც.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვარისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წრამდე ვადით.